დიდად პატივცემულო ბატონო ლეო!

ვალერი ქირია, *სტუ-ს ასოც. პროფესორი*

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლები ქართულ საზოგადოებრიობასთან ერთად უდიდესი გულისტკივილით გეთხოვებიან და თავს ხრიან თქვენს წინაშე. თქვენ ხო აქ, ყოფილი პოლიტიკური ეკონომიის კათედრაზე, განვლეთ თქვენი ახალგაზრდობის და უაღრესად ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობის თითქმის მეოთხედი საუკუნე, როგორც უფროსმა მასწავლებელმა, დოცენტმა, პროფესორმა და კათედრის გამგემ.

თქვენ, ბატონო ლეო, ჩვენი კათედრა თანამოაზრეთა ანგარიშგასაწევ გუნდად ჩამოაყალიბეთ. შექმენით ჯანსაღი ატმოსფერო ნაყოფიერი პედაგოგიური, მეცნიერული და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის. თქვენმა პროფესიონალიზმმა, ღრმა განსწავლულობამ, ზედმიწევნით დახვეწილმა ტაქტმა, თითოეული თანამშრომლისადმი ინდივიდუალურმა მიდგომამ, პრინციპულმა მომთხოვნელობამ, ამასთან ერთად ჰუმანურობამ და ადამიანებისადმი თბილმა დამოკიდებულებამ განსაზღვრეს წარმატებები და აღიარება რაც იმ წლებში ჩვენმა კათედრამ მოიპოვა. თქვენს მიერ ჩატარებული კათედრის სხდომა თუ სასწავლო-მეთოდური სემინარი ჩვენთვის ნამდვილი სკოლა იყო. როდესაც არ მოგეწონებოდათ მსჯელობა რომელიმე პრობლემის გამო ან რეალური ვითარების შეფასება, არ იშურებდით ზომიერ და ტაქტიან კრიტიკას. ყოველმხრივ გამოირჩეოდით ზნით, ხასიათით, ნიჭით, შინაგანი კულტურით. შემკობილი იყავით მრავალმხრივი თავისებურებებით, ჭირში და ლხინში ადამიანებისადმი თანადგომით. არ გჩვეოდათ მიმბაძველობა, მიკერძოება, გქონდათ გამორჩეული ალღო, პრობლემებში სიღრმისეულად წვდომის უნარი, დიდ დროს უთმობდით ლიტერატურის კითხვას, პირველ წყაროებზე მუშაობას, ვერ ეგუებოდით უკანონობას, ვინმესთვის დაუმსახურებლად ხოტბის შესხმას ან ადამიანის ღირსების ხელყოფას. ასე ჭიდილში, ძიებაში, შეურიგებლობაში, თავდაუხრელობაში გაატარეთ თქვენი მართლაც ჩიტივით გაფრენილი ოთხმოცდაშვიდი წლის სიცოცხლე და მიუხედავად ასაკისა სრულიად ჯანმრთელი წაიქეცით, გამოეთხოვეთ ამ წუთისოფელს.

მთელი თქვენი ამ ქვეყნად ყოფნის ჟამი განვლეთ ახალგაზრდობის აღზრდაში, იმედის მომცემ მომავალ მეცნიერთა დაკვალიანებაში, ირგვლივ მყოფთა ნათესავების და მეგობრების სიყვარულში.

გამორჩეულად გქონდათ შერჩეული იდეალები. ეს, უპირველესად მშობლები და თქვენი მოძღვარი, მეცნიერული გზის გამკვალავი, ჭეშმარიტი მამულიშვილი და ერისკაცი, აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი იყვნენ. მაგალითს იღებდით ძმისაგან, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწისგან იოსებ ჩიქავასგან, რომლის გარდაცვალების დღიდან დაიწყო თქვენი დამშვიდობება ამ წუთისოფელთან.

თქვენს კაცობას ნათელ გვირგვინად ადგა მეუღლის თამარ კვეკვესკირის სათნოება და სიყვარული. გქონდათ ღირსებით და ტკბილი ურთიერთობებით გამორჩეული ოჯახი. ქვეყანას დაუტოვეთ შვილების ასეთივე შესანიშნავი ოჯახები, ნიჭიერი და შრომისმოყვარეობით გამორჩეული შვილიშვილები, რომლებიც, უთუოდ, ღირსეულად გააგრძელებენ სამაგალითო წინაპრების დიდებულ ტრადიციებს.

ამ სტრიქონების ავტორს სიცოცხლის ბოლომდე საამაყოთ გაჰყვება თქვენი უმცროსი მეგობრის სახელი.

უფალმა ინებოს თქვენი ნათელში ყოფნა. მსუბუქი იყოს მიწა რომელიც თქვენს კეთილს გულს მიეახლა.